ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის პროექტი –
„საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში“

საზაფხულო სკოლა გერმანიაში
ბერლინი / იენა

„საერთაშორისო სისხლის სამართალი – მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“

2022 წლის 26 სექტემბერი – 1 ოქტომბერი

📣 ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებთან და ბილეფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად აცხადებენ კონკურსს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად!

📌 საზაფხულო სკოლის ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მეორე/მესამე/მეოთხე კურსისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ ტრენინგები ქართველ, გერმანელ და ნიდერლანდელ პროფესორებთან/ექსპერტებთან.

❗ მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის წესით და ყველა ხარჯი დაფინანსდება ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის მიერ.

🔹 მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა:
https://forms.gle/zTpLLu1Q2Kf2xRMq8

🔹 საზაფხულო სკოლის სამუშაო ენაა ინგლისური. მონაწილეს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B 2/1 დონეზე. წარმოსადგენი დოკუმენტაცია სრულად იხილეთ სარეგისტრაციო ბმულზე.

❗ მონაწილეების შერჩევა მოხდება 2 ეტაპად:
1) წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე შეირჩევიან საუკეთესო კანდიდატები;
2) საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატებს 2022 წლის აგვისტოში ჩაუტარდებათ გასაუბრება კომისიის წინაშე ინგლისურ ენაზე დისტანციური საკონფერენციო სერვისის Zoom-ის მეშვეობით.
კონკურსის შედეგად გამოვლინდება 12 საუკეთესო სტუდენტი საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად.

❗ საკონკურსო განაცხადის მიღების პერიოდი: **12/07/2022 - 28/07/2022**

📌 საზაფხულო სკოლის ჩატარების ადგილი: **ბერლინი/იენა, გერმანია**

📅 საზაფხულო სკოლის ჩატარების დრო: **26 სექტემბერი–1ოქტომბერი**

📜 საზაფხულო სკოლის წარმატებულ მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები!

❓ დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: **vwiclproject@gmail.com**